

გამოცემის 102-ე წელი


გაზეთი

www.gazetiajara.ge

გამოცემა: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№101 (24.981) შაბათი, 17 - 19 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური მსახურით მოსახლეობისთვის



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოდრულულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 28-33, მთაში - 15-20 გრადუსი სიბოლო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

პრიპოლსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარია შვიდი ათონის წმინდა მთის ვატიკანის მონასტრის წინამძღვრს, არქიმანდრიტ ეფრემს და მის თანხლებს პირებს შეხვდა, რომელთა შორის იყვნენ ამავდროულად მონასტრის მოღვაწე ქართველი ბერები. არქიმანდრიტმა ეფრემმა პრემიერ-მინისტრს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა. თავის მხრივ, ირაკლი ლარია შვიდი ათონის წმინდა მთის ვატიკანის მონასტრის წინამძღვრს, არქიმანდრიტ ეფრემს წმინდა ნინოს ხატი გადასცა საჩუქრად. არქიმანდრიტმა ეფრემმა მთავრობის მეთაური ათონის მთაზე მიიწვია.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გენერალური აუდიტორის პოსტზე ცოტენ ყავლაშვილის კანდიდატურა წარადგინა. "ბატონი ცოტენ ყავლაშვილი განმავლობაში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში. ის არის მაგალითი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მოხელისა, რომელმაც 15 წლის განმავლობაში რიგობით სპეციალისტიდან მინისტრის მოადგილემდე საჯარო სამსახურის ყველა საფეხური გაიარა", - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მან უკვე ყოფილ აუდიტორ ირაკლი მუკეაშვილის გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა.

„ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NI) 14 ივლისიდან 15 აგვისტომდე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკითხულითა 51% და 53% მიიჩნევენ, რომ შესაბამისად საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა საქმარის აკეთებს უკრაინის მხარდასაჭერად. 33% და 32% მიიჩნევენ, რომ შესაბამისად საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა მეტს უნდა აკეთებდეს უკრაინის მხარდასაჭერად. 3-3% მიიჩნევენ, რომ საქართველოს არც პარლამენტი და არც მთავრობა არაფერს უნდა აკეთებდეს უკრაინის მხარდასაჭერად. კითხვებზე, ვისი ბრალია უკრაინაში ომი, 58% რუსეთს ასახელებს, 18% მიიჩნევენ, რომ ომი ვლადიმერ პუტინის ბრალია, 11% ფიქრობს, რომ ამასთანავე უკრაინის ბრალია, 4% ბრალს ეგროკავშირს სდებს, 2% კი ნატოს.

მესამე სექტორსა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის შეხვედრა გაიმართა იმ 12 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ოპოზიციამ ეგროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად შეიმუშავა. როგორც შეხვედრის დასრულებამდე საიას თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი განაცხადა, მსჯელობა იქნება კანონპროექტზე, რა გააკეთა საპარლამენტო ოპოზიციამ და რის დანიშნულებას აპირებენ ისინი. „რის ინიცირებასაც არ გუარანტავთ, ეს არის დეოლოგალიზაციის დაკავშირებით ცალკე საკანონმდებლო აქტი, რაც რა თქმა უნდა, პრობლემის მოშლას იქნება“, - განაცხადა სიმონიშვილი.

მომზადდა ია შვილიძის

საერთაშორისო სამედისინო გამოფენა გაიხსნა

სატიან იაშვილი 555 18 48 88

ბათუმი უკვე მესამედ მასპინძლობს სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და ალტერნატიული მე-3 საერთაშორისო გამოფენას *Expo-Med Batumi 2022*. აქ იტალიის, გერმანიის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს სამედიცინო სფეროს კომპანიები ერთ სივრცეშია წარმოდგენილი

გამოფენა გუშინ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, აჭარის ჩანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ, დიპლომატიური კორპუსის, სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გახსნეს. გამოფენის მიზანია, საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს ახალი კონტაქტების დამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობას. გამოფენაზე წარმოდგენილია სამედიცინო ალტერნატიულობა და ხელსაწყოები, ერთგვრადი მოხმარების საგნები, სადიագნოსტიკო აპარატურა...

„მიხარია, რომ აღნიშნულმა გამოფენამ, გარკვეული პაუზის შემდეგ, კვლავ იხილა მზის შუქი. ეს ის სფეროა, რომლის ორგანიზება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის. ამიტომ ბატონ მსამას მადლობას ვუხდით და რა თქმა უნდა მისთვის. ის ხშირად გვანებობს სხვადასხვა სფეროს გამოფენებით, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს, ადგილზე ნახონ სხვისი პროდუქცია, გაცვალონ კონტაქტები და დაამყარონ თანამშრომლობა. წარმატება მინდა ვუსურვო ყველა კომპანიას და მადლობა გადავუხადო მონაწილეობისთვის“, - გვითხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.



„ძალიან დიდი მადლობა ორგანიზატორებს. ერთ სივრცეში აშორებენ მთელი კომპანიის თავმოყრა და ასე პროფესიულად წარმოჩენა დიდ შრომას იხივს. აქ გვიღებ ცვალებადი სპეციალისტებს, მედიცინის სფეროს წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია, რომ სისხლის დონაციის აქცია იმართება გამოფენის ფარგლებში და ყველა ერთად მივიღებთ მონაწილეობას სისხლის დონორთა ბაზის შექმნაში. მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ გამოფენის როგორც დაგეგმვაში, ასევე, განხორციელებაში“, - გვითხრა აჭარის ჩანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ExpoMed Batumi-ის ფარგლებში გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციები და B2B შეხვედრები. გამოფენაში მონაწილეობას იღებს 60-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულება.

დონაციების ფარგლებში დაგეგმილია იოგის, პრესოთერაპიის, პირველი დახმარებისა და ტრინინგის გადარევივების მასტერკლასები. გამოფენის მხარდაჭერება: აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აჭარის განმრთელობისა და სოციალური დაცვის, თურქეთის რესპუბლიკის ჩანდაცვის სამინისტროები, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჩანდაცვის ფაკულტეტი, საქართველოს და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატები, საქართველოს საერთაშორისო ინვესტიციების (IIA), თურქ ბიზნესმენთა („მუსადაი“), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია „გურტიადი“, აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

საათეხი ჩაიერთო, ტურნირი დაიწყო - მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთის შორის

მანანა კიპიციანი 598 24 94 97

აჭარის დედაქალაქში სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში კალათბურთის შორის. ეს არის პატარების საკმაოდ მასშტაბური ფორუმი, რომელშიც 69 ქვეყნის 800-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის, ყველაზე მეტი - 108 სპორტსმენი მასპინძელი ქვეყნიდან - საქართველიდანაა

ოთხი კონტინენტის 8-10-12 წლამდე ასაკის ასობით ჭადრაკი და გოგონა 16-დან 27 სექტემბრის ჩათვლით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლებას შეეცდებიან. ასპარეზობისთვის მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ჩემპიონატის გახსნაზე ნორჩ მოჭადრაკეებს ფიდეს სახელით მიესალმა აკაკი იაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ორგანიზატორები ყველაფერს იღონებენ შეკრების მალე დასრულება და დასრულებულია გადარევივების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიას დახმარებისთვის, აჭარის მთავრობას - გვერდით დგომისთვის.

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა ფიდეს და ყველა ორგანიზატორს, ვინც ეს ღამეზე დღეები დაგეგმა ბათუმში, ასევე თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო მომზადების პროცესში.

ბოლო წლებში ბათუმი ნამდვილად იქცა ჭადრაკის დედაქალაქად, არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით. ჭადრაკი არის სპორტის გამორჩეული სახეობა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში გა



საკუთრებით პოპულარულია და დღეგანდელი დღეც ამის დასტურია - მასში აშორებენ მოჭადრაკე მონაწილეობს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ჭადრაკი როგორც სავალდებულო დისციპლინა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში - ჩვენს სკოლებში შემოვიდა. წარმატებას ვუსურვებთ ყველა მონაწილეს, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სახელით მივსალმები ტურნირის მონაწილეებს - პატარებს, მათ მწვერთხლებს, მშობლებს, თითოეულ სტუმარს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მოხიბლული ხართ იმ გრემოთი, რომელიც უწყვეტს თქვენს შვილებს თამაშში, - აღნიშნა გიორგი გიორგაძემ.

შეკრებით, ასევე, მისვალმა და წარმატებები უსურვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჩიშვილი.

- სიმბოლურია, რომ გუშინ მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი სასწავლო წელი სიახლით დაიწყო - სკოლებში ჭადრაკის სწავლება შედის, დღეს კი ჩვენი ქალაქი ძალიან დიდი ფორუმის მასპინძელი და ჩვენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ასობით პატარა მოჭადრაკე მივიღეთ, რაც ძალიან გვახარებს, - აღნიშნა მაია ხაჩიშვილი.

ჩემპიონატზე პირველი საბატიო საჭადრაკო სვლები არჩილ ჩიქოვანმა და მაია ხაჩიშვილმა გააკეთეს.

საათეხი ჩაიერთო, ტურნირი დაიწყო.

წარმატებული ყოფილიყოს ბათუმური ტურნირი თითოეული მონაწილისთვის.

მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთის შორის

ღარკეპტი «აჭარის» რედაქციაში - ჩემპიონის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93



„რობერტ კაპას ობიექტივი“ – ამ სახელწოდების ფოტოგამოფენა ბათუმში 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება

შობიბა დამლაპი 597 25 25 72

აჭარის ხელოვნების მუზეუმში 14 სექტემბერს მე-20 საუკუნის ცნობილი, გამოჩენილი ფოტოგრაფისა და ფოტოლოკუმენტალისტ რობერტ კაპას ფოტოების გამოფენა გაიხსნა

აქ წარმოდგენილია ფოტოგრაფის ომის ამსახველი 64 ნამუშევარი. ფოტოკადრები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილშია გადაღებული, თითოეული მძიმე ისტორიაზე

ცენტრი, გადასცემს უნგრეთის ყველაზე მნიშვნელოვან ჟილოს, ეს გახლავთ ფოტოგრაფიის ეროვნული ჟილო. ეს ცენტრი ეწევა არა მხოლოდ კულტურულ, არამედ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, რომ ძალიან პროდუქტიული იქნება ჩვენი ურთიერთობა, მოგეხსენებათ რობერტ კაპა ხუთი ომის მონაწილე გახლდათ და აქ წარმოდგენილი კადრები, რა თქ

რი კადრი. აქ წარმოდგენილი ფოტოები ცენტრს ეკუთვნის, რომლებიც 2008 წელს უნგრეთის სახელმწიფომ შეიძინა ამერიკის რობერტ კაპას ცენტრისგან, - განაცხადა აჭარის მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელმა თეონა ზოიძემ.

1947 წელს ანრი კარტიე ბრესონმა, რობერტ კაპამ, ჯორჯ როჯერმა და დევიდ სეიმურმა ფოტოგრაფთა საერთაშორისო გაერთიანება ჩამოაყალიბეს, რომელმაც ახლებურ - დამოუკიდებელი ფოტოგრაფიის განვითარებას გზა გაუხსნა. მათ დააარსეს ფოტოგრაფთა გაერთიანება, რომელიც თანამედროვე ფოტოგრაფიაში დღესაც ერთ-ერთ პრესტიჟულ და გავლენიან სააგენტოდ რჩება. რობერტ კაპას ობიექტივში მოხვდა საქართველოც. ფოტოგრაფმა 1947 წელს ჯონ სტენბეტთან ერთად მოგზაურობისას უნიკალური ფოტოები გადაიღო. მათ შორისაა: მარიამობის დღესასწაულზე ჩატარებული წირვა, კალისტრატე ცინცაძის პორტრეტი, 40-იანი წლების თბილისი, გორი, ბათუმის პეიზაჟები. ფოტოგრაფმა რამდენიმე კადრით აღბეჭდა მაშინდელი ქართული რეალობა და საქართველოში მცხოვრებლებს შესაძლებლობა მისცა რობერტ კაპას თვალით აღბეჭდილი საქართველო ენახათ.



- რობერტ კაპა როგორც შემოქმედებითი საქმიანობით, ასევე ცხოვრების სტილითაც გამორჩეულია ფოტოგრაფიის ისტორიაში - ის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის წინ დაიღუპა, დღესაც ბოპულარულია. დაღუპვის მიზეზიც მისი საქმიანობა გახდა, რადგან ერთ-ერთმა ომმა შეიწირა - კაპას ომის ფოტოგრაფსაც ეძახიან. მის შემოქმედებაშიც, ძირითადად, ომის ამსახველი კადრებია. მის მიერ გადაღებული ადამიანები გაურბიან საფრთხეს, სიკვდილს, ომს, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც კრი-

ტიკულ სიტუაციაში იმყოფებიან. ჩემთვის ყველაზე საინტერესო მისი საქართველოში მოგზაურობის პერიოდია. კაპა საქართველოში მოგზაურობის პერიოდში აშკარა რეპრესიების ქვეშ იმყოფებოდა მაშინდელი საბჭოთა უშიშროების მხრიდან. ის ნამყოფია ბათუმშიც. სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქში გადაღებული ფოტოები საბჭოთა უშიშროებამ ჩამოართვა. ჩვენამდე მხოლოდ მწვანე კონცხში, ალამბარში, ქობულეთში გადაღებულმა ფოტოებმა მოაღწია. საბჭოთა კავშირში წინააღმდეგნი იყვნენ ზოგადად, საქართველოში ემოგზაურა კაპას. ფოტოებზე, რომლებიც ფოტოგრაფმა ალამბარში გადაიღო, ასახულია ოჯახი, სხვათა შორის, მე მოვიცი ეს ოჯახი და შემდეგ მათზე მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადავიღე. ისინი ჩემთან საუბრისას ამბობდნენ, რომ ამ ფოტოების გამო დიდი ხნის განმავლობაში იდევნებოდნენ. ჩემთვის და ყველასთვის ძალიან სასიხარულო ფაქტი იქნება, თუკი დავიბრუნებთ ფოტოგრაფის მიერ ბათუმში გადაღებულ ფოტოებს, თუ განადგურებული არ არის მაშინდელი რეჟიმის მიერ, - გვითხრა ფოტოგრაფმა შოთა გუჯაბიძემ.

კაპა 17 წლის ასაკში გამოიქცა უნგრეთიდან, სადაც პოლიტიკური ნიშნით სდევნიდნენ, შემდეგ კი ბერლინში დასახლდა. ფოტოგრაფი სიღარიბეში ცხოვრობდა, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა განსაცდელში მყოფი ადამიანების ყოფა. როგორც ცნობილია, ფოტოების გადაღებამდე ეცნობოდა ხალხს, უახლოვდებოდა მათ, ცდილობდა ურთიერთობის დამყარებას და მხოლოდ ამის შემდეგ მუშაობდა. მან მხოლოდ 40 წელი იცოცხლა.



მოგვითხრობს. ექსპოზიცია აჭარის მუზეუმისა და უნგრეთის რობერტ კაპას თანამედროვე ფოტოგრაფიის ცენტრის თანამშრომლობით დაიგეგმა.

- აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ისტორიაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება რობერტ კაპას მსგავსი ფოტოგრაფი. „რობერტ კაპას ობიექტივიში“ - ეს გამოფენა ერთი წლის წინ ბუდაპეშტში დაიგეგმა, სადაც გაცივანით ბუდაპეშტის ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი სიმონ ლაზლოსი, აგრეთვე ბუდაპეშტის რობერტ კაპას თანამედროვე ფოტოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ორსოლია კოროსი გამოფენის გახსნაზე ვერ ჩამოფრინდა, მაგრამ საგანგებო მიმართვა გამოაგზავნა ჩვენი სტუმრებისათვის. ეს არის, ფაქტობრივად, ორი ორგანიზაციის მიერ მომზადებული გამოფენა და ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ ჩვენი ურთიერთობები გაღრმავდება. ბუდაპეშტის რობერტ კაპას თანამედროვე ფოტოგრაფიის

მა უნდა, საინტერესოა ვიზიტორებისთვის. სამწუხაროდ, ამ ცენტრს არ აქვს საკუთრებაში კაპას მიერ საქართველოში გადაღებული ბევ-



სპორტი

მსოფლიო ახალგაზრდულ შეჯიბრებაზე... ვინ დაისაკუთრა „ოქროს ბურთი?“

თბილისი პირველად მასპინძლობს მსოფლიო ახალგაზრდული სერების გათამაშებას მაგიდის ჩოგბურთში 19 წლამდე ასაკში პირად ერთეულში (სამი ასაკობრივი ჯგუფი).

13, 15 და 19 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში იბაქტრებენ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები 16 ქვეყნიდან. მათ შორის: შვედეთიდან, ავსტრიადან, ბელგიადან, ინდოეთიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან, რომელთა მაგიდის ჩოგბურთის კლუბები ცნობილია მაღალი რეიტინგით. სპორტის ამ სახეობაში ასეთი დონის ტურნირი ჩვენთან პირველად ტარდება.

თბილისელ მკურნებელს საინტერესო სანახაობა და დიდი სიამოვნება ელოდება. შეჯიბრება დაიწყება 19 სექტემბერს და გასტანს 25-ის ჩათვლით. მას სპორტული კომპლექსი „არენა 2“ უმასპინძლებს. როგორც აჭარის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ მენაბდემ გვითხრა, მარტში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა შესარჩევი ტური. სწორედ იქ გამოვლინდნენ ის სპორტსმენები, რომლებიც დაგეგმილ მსოფლიო რეიტინგულ ტურნირში იასპარეზებენ. აჭარის ნაკრებიდან საქართველოს დარსებას დაიცავენ თაკო რიჟვაძე, მარი რიჟვაძე, მარი გორგაძე, ანრი მელაძე (ხულოსა და ბათუმის სასპორტო სკოლებიდან, მწვრთნელები -



მინურ რიჟვაძე, ვაგან ოვაკიმიანი, ავთანდილ მენაბდე).

- აჭარის სპორტსმენებმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შეკრება ჯერ რაჭასა და თურქეთის რესპუბლიკაში გაიარეს, ამჟამად კი თბილისში ემზადებიან საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელების ნინო ნინოშვილისა და გიორგი სარხიანის ხელმძღვანელობით. აჭარის ნაკრებიდან კიდევ სამ სპორტსმენს შქონდა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ასპარეზობის შანსი. მაგრამ ამჯერად, სამწუხაროდ, სპორტული იღბალი მათ მხარეზე არ იყო, - გვითხრა ავთო მენაბდემ.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ჩოგბურთელებს.

ბათუმმა აჭარის ღია ჩემპიონატს საპლაჟო ფრენბურთში - „ოქროს ბურთი-2022“ უმასპინძლა, რომელშიც 22 წყვილი (მამაკაცებში) მონაწილეობდა.

მათგან უნდა გამოვლენილიყო ხუთი საუკეთესო, რომელიც გათამაშებაში - „ოქროს ბურთი-2022“ მიიღებდა მონაწილეობას.

„ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა საბა აბუსერიძისა და მერაბ დოლიძის წყვილი (ბათუმი), მეორე ადგილზე გავიდა ნიკა მჭედლიძისა და გიორგი გოგლიძის წყვილი (თბილისი), მესამეზე - გიორგი ნინიძისა და ნიკა გორდეღაძის წყვილი (ბათუმი). „ოქროს ბურთის“ ტიტული დაისაკუთრეს გიორგი გოგლიძემ და ნიკა მჭედლიძემ. აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ ბულგარეთში გამართულ ფრენბურთის საერთაშორისო ფესტივალზე „SOUTH BLACK SEA CUP- 2022“, აჭარის ფრენბურთის ფედერაციის 14 წლამდე ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა წარმატებით იასპარეზა - მეორე ადგილი დაისაკუთრა და ვერცხლის მედლებს დაეუფლა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ბათუმელი ლიპო მიქელაძე დასახელდა. ეს წარმატება როგორც სპორტსმენების, ისე მათი მწვრთნელის, აჭარის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ხათუნა გორგაძის დამსახურებაა.



მოამზადა მანანა კიბიშვილი